„ვამტკიცებ"

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის

გამგებელი ---------- ნ. ვარშანიძე

„24"---"---------" 2016 წელი

ჭადრაკში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებს შორის გასართობ-შემეცნებითი შეჯიბრის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. მიზანი და ამოცანები

ჭადრაკში საბავშვო ბაღებს შორის გასართობ-შემეცნებითი შეჯიბრი მიზნად ისახავს აღსაზრდელებში ჭადრაკის სახეობის პოპულარიზაციას; ერთმანეთის გაცნობა-დამეგობრებას; ნიჭიერი ბავშვების გამოვლენას და წახალისებას;

2. შეჯიბრების ჩატარების ეტაპები

I ეტაპი - შიდა ტურნირი, ჩატარდება 2016 წლის 13-14 დეკემბერს, სადაც გამოვლინდება გამარჯვებული აღსაზრდელები (1 გოგო და 1 ვაჟი);

II ეტაპი - მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ჩატარდება 2016 წლის 15 დეკემბერს სოფელ ახალსოფლის საბავშვო ბაღში 12:00 საათზე;

3. შეჯიბრების მონაწილენი

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღის 5-6 წლიანი ჯგუფის აღსაზრდელები.

4. შეჯიბრების ჩატარების წესები

შეჯიბრი I - საჭადრაკო ფიგურების სწრაფი აწყობა. ჩატარდება გოგონებს შორის და ვაჟებს შორის, ოლიმპიური სისტემით (ერთ წამგებიანი), სადაც გამოვლინდება პირველ და მეორე ადგილის გამარჯვებული.

შეჯიბრი II - საჭადრაკო ფიგურების ცნობადობა. კედელზე გაკრულ ცარიელ დაფაზე ხელის მითითებით აღსაზრდელმა უნდა გამოიცნოს თუ სად რომელი ფიგურა უნდა განთავსდეს. აღსაზრდელმა ხელის აწევით უნდა უპასუხოს კითხვას.

შეჯიბრი III – დასმული იქნება 3 კითხვა, რომელიც ჭადრაკს უკავშირდება. აღსაზრდელმა ხელის აწევით უნდა უპასუხოს კითხვას.

5. შეჯიბრების ორგანიზება და ხარჯები

შეჯიბრების ორგანიზებას ახორციელებს (ფასიანი საჩუქრები, მთავარი მსაჯი, ტრანსპორტი) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება და ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება (აღსაზრდელების კვება და ბაღის ფართი).

6. დაჯილდოება

ჟიურის გადაწყვეტილებით გამოვლენილი აღსაზრდელები დაჯილდოვდებიან სიგელებით, ფასიანი საჩუქრებით და მაგდონალსის ვაუჩერით.

7. მონაწილე გუნდის ვალდებულება

- აუცილებელია აღსაზრდელებს ბაღიდან 1 აღმზრდელი ხელმძღვანელობდეს;
- შეჯიბრში მონაწილეობისათვის **რეგისტრაცია აუცილებელებელია მოხდეს 14 დეკემბრამდე** სატელეფონო ზარის საშუალებით შემდეგ ნომერზე (გამგეობის მთ. სპეციალისტი *თეა* -577383785);
- აუცილებელია აღსაზრდელს ქონდეს გულსამაგრი, სადაც მითითებული იქნება ბაღის დასახელება და სახელი, გვარი.